# სამშობლო

სურათებიანი დამატება

კვირა, 23 აგვისტო 1915 წ.

გაზეთის № 159

დამატების № 26


სამშობლო—ღვთის მადლი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ცხებილია, შობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.



**ალექსანდრე ანტონის ძე ჩხეიძე.**
მოკლულია გერმანელებთან ბრძოლაში 15 ივლისს.



**ჯ. კ. პლატონ ისლამის ძე ქარცხია.**
დაჭრილია მძიმეთ გერმანელებთან ბრძოლაში 18 ივლისს.



**ვლასა ნიკოლოზის ძე გოცირიძე.**
უგზო უკვლოთ დაკარგული გერმანიის საზღვარზე.



**ნესტორ დოლბაძე.**
გადაიცვალა სახადით ოსმალეთის ბრძოლის ველზე.

# სერენადა.

როცა მოვკდები, ჩემს საფლავს ზევით
მუდამ მტირალი ძეწნა დარგევით...
და ძეწნა იგი ფოთოლთა რხევით
მეტად საამოს მომაფენს ჩრდილსა,
არ დამამძიმებს ჩრდილი მე ქვევით
და არ შემიკრთობს საფლავში ძილსა...

. . . . . . . .

ერთხელ, მწუხრისას მე და იგი მარტო ვიყავით;
გვერდში მოვუჯექ და მის მკერდზე მივეყრდე თავით.
ის კი თითებით თეთრ კლავიშებს დაეხო ნელა
და როიალი გულწარმტაცათ აამეტყველა.
და იშვა მოთქმა ისე ჩუმი, ჩაფიქვრელი,
ვით ბუჩქნართ შორის მობიბინე ნიავი ნელი.
მასში იმ ღამის საიდუმლო წუხილი კრთოდა,
ფერად ყვავილთა სურნელებით რომ იხრჩობოდა.
გარეთ-კი, ბაღში, ფოთოლხშირი, დაბერებული
მუხნარი სთვლემდა განვლილ დღეზე ჩაფიქრებული..
ღია სარკმელით ხშირად სიო შემოიფრენდა
დ ძვირფას გრძნობის, ნაზ ოცნების ბურუსში გხვევდა.
გარემიდამოს ისე მკვდრული სიჩუმე ჰფლობდა,
რომ ერთმანეთის გულისცემა გვეყურებოდა!
უკვე გაგვენვლო ჩვენ ორივეს თუთხმეტი წელი
და მეთექვსმეტემ გაგვითენა დღე დღევანდელი.
შევხედე მას და სიყვარულის ვიგრძენი ძალა ..
ქალწულის სახე ქერა კულულს გადაემალა ..
და სახე მკრთალი ისე იყო მინაზებული,
ვით გაზაფხულის მთვარე ნისლში შეფარებული
ცისებურ ლაჟვარდს, ჩაფიქრებულ, კეთილ თვალებში
სული სცურავდა ზეცის უკვდავ სინარნარეში!
რა რიგ მხიბლავდა იმ თვალების მე სიფირუზე!
ხმა ჩაკმენდილნი ვოცნებობდით ჩვენ სიყვარულზე!
და ვგრძნობდი, ვგრძნობდი მთელი სულით და
ისიც გრძნობდა,
რომ ქვეყნად არვინ ჩვენ ორს გარდა არ
არსებობდა!

ანაზდათ მთვარე ამოცურდა ღრუბლებიდანა
და ვერცხლისფერი სხივნი უხვად გამოგვიგზანა.
და ჩაკვდა სიტყვა ფეხად მაშინ ამონათქვამი
რა მშვენიერი იყო იმ წამს მთვარის კამკამი.
და იხილა მან თავი თვისი ჩემს შავ თვალებში,
მეც ჩავიხუტე სარო ტანი სათუთ მკლავებში
და ჩემი ბაგე წყნარ ღიმილით მის ბაგეს მოხვდა,
ამ დროს როიალს სევდიანი კვნესა აღმოხდა,
და ვით პეპელა დაფრინავდა ის ნელა-ნელა...

. . . . . . . .

სევდის ასულო! მხოლოდ ერთი სიყვარულისთვის
მოუვლენიხარ შენ განგებას და არა სხვისთვის!
უწმინ[illegible]ეს ღმერთებს კოლხიდისთვის შენც სხვებთან
ერთად
მოუგზავნიხარ, მშვენიერო, ქვეყნიურ ღმერთად!
უშესამოსლოდ, ვით ხორცსხმული უმანკოება
აზრი უბიწო შენ უშიშრად მოგევლინება!
ეჰ, ვინ მიხვდება ამ უბადრუკ დედამიწაზე
რაზე ფიქრობდი, ოცნებობდი შენ მაშინ რაზე??
ბრბომ თვალზე ცრემლი შეგამჩნიოს—ესეც დიდია,
გულის სიღრმით-კი რაც გიგრძვნია და განგიცდია--
საიდუმლოა მისთვის ყველა,—ვით ზღვის ალერსი,
ვით წყნარი ღამის სევდიანი ამონაკვნესი...
გვერდში ვიჯექი და ვფიქრობდი მე სიყვარულზე...
უკანასკნელი ხმა მუსიკის ჩემს სულში თრთოდა...
ჩემო ჩიტუნავ მიყრდნობილსა შენს მღელვარ
გულზე,
**მე მედიას** ტანჯვა, კვნესა მეყურებოდა!...
და შენ ატირდი... და მეც თრთოლვით დაგეკარ
ბაგეს
შენმა ტუჩებმაც კოცნა კოცნით გადამიხადეს!
და დავიმშვიდეთ ჩვენ იმ კოცნით სევდა ნაღველი:
ნეტარ ცხოვრების იყო იგი წინასწარ მთქმელი.
ვაგლახ! იმედმა გვიღალატა და შენაც მალე
დასჭკნი ვით ია და ვარდივით გარდაიცვალე

. . . . . . . .

და ნაზი იყო ვით უმანკო ბავშის ღიმილი,
როგორც ცხოვრება, ისე შენი უდრო სიკვდილი!

. . . . . . . .

როცა მოვკვდები, ჩემს საფლავს ზევით
მუდამ მტირალი ძეწნა დარგევით
და ძეწნა იგი ფოთელთა რხევით
მეტად საამოს მომაფენს ჩრდილსა,
არ დამამძიმებს იგი მე ქვევით
და არ შემიკრთობს საფლავში ძილსა!

**კამური.**

# კედელი.

ძველის ძველი ამბავი

— რა მოხარული ვარ, რომ ამისთანა ადგილში გამამწესეს მღვდლათ, საქმე ბევრია გასაკეთებელიო, ხალხი ბევრია მოსაქრისტიანებელი, ეცადე მხნეობა და ენერგია გამოიჩინოვო, მითხრა არქიელმა, იქ ახალგაზრდა მხნე მუშაკნი არიან საჭირონიო. გაისაჯე, იშრომე, კარგათ დააყენე საქმე და ჯილდო ჩვენ მოგვთხოვეო. დიდის წყალობით შემომხედა არქიელმა და მეც მეტი რა მინდა. თუ ქართველს მუსულმანებში ვერაფერს გავაკეთებ და ვერას გავხდები, მაშინ სიკო არაფრის გაკეთება არ შემეძლება. სწორედ საბრალონი უნდა იყვნენ ეს დროთა ვითარების გამო გამაჰმადიანებული ქართველები, მათი წინაპარნი ხომ ისევე ქრისტიანები ყოფილან, როგორც დანარჩენებისა. ნუ თუ გული არ უნდა მოულბესთ და სიხარულს არ უნდა ეძლეოდნენ, რომ ეხლა საშუალება აქვთ, ისევ მამა პაპათა სარწმუნოებას დაუბრუნდნენ და სულითა და გულით გაერთიანდნენ დანარჩენ საქართველოსთან. ალბად, როგორც არქიელმა მითხრა, იქ არ მოხდომიან აქ-



**ნიკოლოზ** (ნიკოლა) **ნინიკას ძე ორაგველიძე.**
მოკლულია ავსტრიის საზღვარზე.



**ირაკლი თომას ძე გაბუნია.**
მოკლულია ოსმალებთან ბრძოლის დროს 8 მარტს.



**პორფირე ონოფრეს ძე მანაგაძე.**
მოკლულია გერმანიის საზღვარზე.



**ვარლამ წაქაძე.**
მოკლულია ავსტრიაში.

ნობამდის ენერგიითა და სარწმუნოების სიყვარულით სავსე მოძღვარნი, თორემ განა აქნობამდისაც ვერ გაერთდებოდნენ სარწმუნოებით დანარჩენ საქართველოსთან, რომელთანაც მათ მძიმე ისტორიული ჭაპანი უწევიათ და ჭირსა და ვარამში ერთად ყოფილან. წავალ, წავალ, მოხარული ვარ, რომ ბედმა იქ წასვლა მარგუნა და მთელ ჩემს ცოდნას, ენერგიას და ძალ-ღონეს მათში მოქმედებას და დანარჩენს საქართველოსთან მათ გაერთიანებას შევსწირავ. დარწმუნებული ვარ, ადვილად გავჩარხავ იქ საქმეებს და მერე ნახე ჯილდო და ხარისხი და ამ სიტყვებთან ერთად სიხარულისაგან რამოდენიმეჯერ შეხტა და შემოტრიალდა.

ასე ამბობდა ახლად მღვდლად ნაკურთხი მამა კირილე, რომელიც შორს მრევლში გაემწესებინა არქიელს. ეს შორი მრევლი გახლდათ სოფ. გძელი, რომელშიაც უძველეს დროიდანვე ორი სარწმუნოების მიმდევარნი, მუსულმანნი და ქრისტიანნი სცხოვრობდნენ. ორივე ტომით ქართველები იყვნენ, ერთმანეთის სისხლი და ხორცი, წმინდა შეურყვნელი ქართულის ენით მოლაპარაკენი, ჩვეულებით, ზნე-ხასიათით, თუ ჩაცმა-დახურვით ერთნი და თანასწორნი. სარწმუნოებრივ განსხვავებას არავითარი ზიანი არ მოჰქონდა მათის ერთობისა და ძმობისათვის. ჭირში თუ ლხინში, ავში თუ კარგში ერთად იყვნენ ღ ერთად სწევდენ ცხოვრების ჭაპანსა. დიდხანს ერთად ცხოვრებას ისე შეეთვისებინა ისინი ერთმანეთისათვის, ისე შეესისხლხორცებინა, რომ ბევრი ქრისტიანული ჩვეულება გადაეღოთ მუსულმანებს და მუსულმანური კიდევ ქრისტიანებს, ასე რომ სად იწყებოდა პირველ და სად თავდებოდა მეორე ადამიანს თითქმის გაუჭირდებოდა გამოცნობა. ამ გაერთიანებაში უფრო შეველოდა ერთგვარი ეროვნება და ენა, თვით მუსულმან ქართველებშიც ძალიან ცოტანი იყვნენ თათრულის მცოდნენი და არაბულის მცოდნე ხომ ჰაჭანებაც არ იყო, ორივეს სამშობლო ენა ქართული იყო და თათრული მხოლოდ მოლებში და იმამმა იცოდა ხოლმე. სოფლის მნახველი მხოლოდ იმითი გაიგებდა აქ ორი სარწმუნოების ხალხის არსებობას, რომ სოფელში ეკლესიის გარდა, მეჩეთიც არსებობდა კარგა მაღალის მიზაბეტით.

სოფლის მღვდელი და მოლა—ეს ორი სარწმუნოების წარმომადგენელნი ერთმანეთს მხოლოდ პატივით ექცეოდნენ და ხალხთან ერთად იყვნენ ხოლმე ჭირსა და ლხინში და შეძლებისადაგვარად შველასა და დარიგებას აძლევდნენ. როცა სოფელში გარდაიცვლებოდა ხოლმე მუსულმანი, მღვდელიც სხვებთან ერთად წავიდოდა და მიუსამძიმრებდა, ასევე იქცეოდა მოლაც, ლხინი იყო კიდევ და უმღვდლოთა და უმოლოდ არა კეთდებოდა რა, მოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მღვდელი სუფრის თავში ისხდნენ ხოლმე, როგორც სარწმუნოების წარმომადგენელნი და სოფლის მოჭირნახულე და პატრონნი.

მამა კირილე ახლად გამწესებულს სოფელში, ნაცვლად გარდაცვალებულის მღვდლის გიორგისა, რომელსაც საერთო სიყვარული და პატივი ჰქონდა სოფელში მოხვეჭილი, მივიდა სოფ. გძელში. მრევლმა ჩვეულებრივის პატივით მიიღო მამა კირილე და ნიშნად პატივისცემისა მოკლული გარეული ტახი და რამდენიმე ხოხობი მიართვეს. მამა კირილეს ესიამოვნა, გული მოეფინა და იმედი ხალხში მოქმედებისა და განდგომილ მოძმეთა მოქცევისა უფრო გაუცხოვლდა.

— ხედავ რა მშვენიერი და პატივისმცემი ხალხი ყოფილა, ამბობდა თავისს გულში მამა კირილე, ამათში მოქმედება და მუშაობა არ უნდა იყოს ძნელი, პირიქით, სასიამოვნო და სანუკვარი, სადაც პირველადვე ასეთის პატივით ეპყრობიან ადამიანს.

მოსულები მოძღვარმა პატივით მიიღო და გამოკითხვა დაუწყო სოფლის ჭირ-ვარამზე და, რა გაიგო რომ მოსულებში მუსულმანებიც იყვნენ. დიდათ გაიხარა და უფრო საადვილოდ ეჩვენა მათთან საქმის დაჭერა.

— თქვენ, მუსულმანებო, ჩვენი ძმანი დ სისხლხორცი ხართ, დიდათ სასიამოვნოა, რომ აგეთი ერთობა გქონიათ ჩვენ ქრისტიან მოძმეებთან და, თუ მათთან სარწმუნოებითაც გაერთიანდებით, მაშინ ხომ თქვენს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფს, ყოველთვის სასიამოვნონი იქნებით ჩვენთვისაც და მთავრობისთვისაც. რაღა გვაშორებს ერთმანეთს: ლაპარაკი და ენა ერთი გვაქვს, ზნე და ჩვეულებანი ერთი, სარწმუნოება ღაა ჩვენი გამაშორებელი. ეშმაკს მიაფურთხეთ, ღიმილით უთხრა მღვდელმა, შემოგვიერთდით და მაშინ სამუდამოდ გაერთიანებულნი ვიქნებით.

მუსულმანებს არ ესიამოვნათ ასეთი ლაპარაკი, მაგრამ გული გაიკეთეს, მღვდელი ახალია, ჯერ არ გვიცნობს და ამიტომ ლაპარაკობს ანგრეო. მაგრამ მოსტყუვდნენ, მღდველმა ჩქარა მხურვალედ დაიწყო ქადაგება სოფელში გაქრისტიანებაზე. როგორც კი მოხვდებოდა გარეთ თუ სახლში, ქორწილში, ნათლობაში, ქელეხში, სადაც ქრისტიანებთან ერთად მუსულმანებიც იყვნენ ხოლმე, ხმამაღლა ქადაგებდა ქრისტიანობის უპირატესობაზე, ქრისტეს სწავლის უტყუარობასა და სიმტკიცეზე, მოძღვარი ამასთანავე გამკლავებით ლაპარაკობდა, უყვავებდა მუსულმანებს და ცდილობდა მდაბიურად მათთვის გასაგებათ წარმოედგინა ყველაფერი.

— ქრისტეს სწავლა-მოძღვრება, ეტყოდა ხოლმე, სხვათა შორის, მოძღვარი, უბრალო მეთევზეებმა დ ხალხმა გაავრცელა და მთელს ქვეყნიერებას მოსდო, მუსულმანის კი მარტო მახვილით გავრცელდა, ძალზე იარაღით ხელში მიაღებინეს ხალხს და არა ნებაყოფლობით. სადაც მახვილმა გაიმარჯვა, იქ მოიკიდა მან ფეხი, სადაც კი მახვილს მახვილი დახვდა-შესაფერისი წინაალმდეგობა გაუწია, იქ ძვრა ვერაფერს ვერ უყო და იძულებული იყო ფარხმალი დაეყარა და უარი ეთქვა იქაურობაში სარწმუნოების გავრცელებაზე. მაშ, მართლა ქრისტეს სწავლა ნამდვილი ღვთის სწავლა რომ არ იყვეს და თვით ქრისტეც ძე ღვთისა, განა შესაძლებელი იყო, რომ მთელი ქვეყნიერებისათვის მიეღებინებინათ უბრალო მებადურთ; მთელი განათლებული ქვეყანა, მთელი ნასწავლი ხალხი დღეს ქრისტიანია, ის უხელს ხალხს თვალსა და კეთილს გზაზე აყენებს.

ბაქარა მღვდელმა მეჩეთშიც დაიწყო სიარული და მოლა!თან გამოსაუბრება. პოლემიკაში სრულიად უვიცი მოლა, რომელსაც ხეირიანადაც კი არ ესმოდა ყორანი და მისი სწავლა თითქმის ყოველთვის იძლეოდა ხოლმე მღვდლისაგან. მაგრამ ხალხი, რომლისათვისაც მღვდელი ეწევოდა ამ შეკამათებას, რათა ისინი დაერწმუნებინა თავის ქადაგების სიმტკიცეში, თანდათან მეჩეთიდან წელნელა გაიკრიფებოდა ხოლმე, მღვდელს კი მარტო მოლა შერჩებოდა ხოლმე ხელში და ისიც იძულებული იყო კამათი შეეწყვიტა.

მღვდელი რაკი ამისთანა ქადაგება და კამათი ვერ სჭრიდა და ჯერჯერობით ვერვინ მიიმხრო, ახლა სხვა ყაიდაზე დაუწყო ხალხს ლაპარაკი და სხვა ნაირად მომართა ჰანგი:

— თქვენ ხომ ქართველები ხართ, ქართულის მშვენიერად მცოდნენი, ჩაცმა-დახურვა, ჩვეულებაადათი, სახის გამომეტყველება ქართული გაქვთ, ქართველები კიდევ ყველანი ქრისტიანები არიან და თქვენ რაღა გემართებათ, რომ მამა პაპის სჯულს არ უბრუნდებით, გაიძახდა მღვდელი დაჟინებით ყველგან და ყოველთვის.

ერთს ამგვარ ლაპარაკის დროს, როცა ბევრი ხალხი შეყრილიყო, მღვდელი დაჟინებით ჩვეულებრივს ლაპარაკს ეწევოდა, გამოვიდა ხალხიდან მოლის ძმა ნასრულა და შესძახა:

— ჩვენ ქართველები არ ვართ

— მაშ ვინა ხართ თუ ქართველები არა ხართ, მაშ ქართულს რათა ლაპარაკობთ?

— ბითუმ თათრები ვართ, ბითუმ, ოსმალეთით მონასულნი და თუ ქართულს ვლაპარაკობთ, ამაშინს უკან აღარ ვილაპარაკებთ, მიუგო ნასრულამ.

— თუ ქართველები არა ხართ ქართულს გვარებს რათ ატარებთ, ქართულს პურს რათ აცხობთ, თქვენ თათრები კი არა ქართველები ხართ, მაგრამ სარწმუნოება გაშორებთ ქართველებისაგან.

— ბითუმ თათრები ვართ, ბითუმ აყვირდენ ყველანი და ამ სიტყვებთან ერთად მოშორდნენ მღვდელს და აქეთ იქით მიიფანტნენ.

მღვდელი სახტად დარჩა, ხალხი ყოველთვის პატივით ექცეოდა, ისმენდა მის ქადაგებას ხმაამოუღებლივ, თუმცა არა სიამოვნებით, მაგრამ მაინც ისმენდა და ისე დემონსტრატიულთ წინაალმდეგობა ჯერ არავის გაუწევია. დიდხანს იდგა, უნდოდა გაეგო თუ რათ მოიქცა ასეთი მზაკვარი და თავხედი ნასრულა, ბოლოს დაღვრემილმა ხელი ჩაიქნია და გზას გაუდგა. მჭმუნვარებით აღვსილი იყო მღვდელი, ბრაზობდა, ღელავდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით გულში იკლავდა ამ ჯავრს.

**ედილი.**

(შემდეგი იქნება)

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. კოხრეიძისა

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.